პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკპ. ბ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკპ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 31 მარტი, 1948 წ. № 75 (6700). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა აგრონომი

საგაზაფხულო თესვა სამხედრო ტემპებით ჩაღდება. სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დგას უაღრესად სერიოზული ამოცანები — დარაზმონ მთელი ძალები საგაზაფხულო სახოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, მიიღონ გაცილებით უფრო მეტი მოსავალი, ვიდრე გასულ 1942 წელს. ამას მოითხოვს დიდი სამამულო ომის მრისხანე ვითარება, გერმანელი ფაშისტი ავანტიურების სრული განადგურების საქმე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა კოლმეურნეობის, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ „1943 წელს მთავარი ყურადღება მოსავლიანობის ამაღლებისათვის და მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავლის გადიდებისათვის ბრძოლაში უნდა მიექცეს მინდვრის სამუშაოთა ხარისხის ამაღლებას, საგაზაფხულო თესვის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებას, ხვნის, თესვისწინა დამუშავებისა და დათესვის უკეთეს ხარისხს, ადგილობრივ სასუქთა ყველა სახის სრულ გამოყენებას, სარეველა ბალახებთან და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარებას“.

ამ საბრძოლო ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში საპატიო, უაღრესად საპასუხისმგებლო როლი ეკისრებათ საბჭოთა აგრონომებს. ისინი ნერგავენ მოწინავე აგროტექნიკას, ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევათა პრაქტიკულად გამოყენებას. აგრონომები და მექანიზატორები საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში ასრულებენ იმავე როლს, რასაც ინჟინერი ქარხნის საამქროში. ისინი სოფლის მეურნეობის ინჟინერები არიან.

ახლა, როცა საკოლმეურნეო სოფელს სხვადასხვა მიზეზების გამო მნიშვნელოვანი რაოდენობით აკლია ადგილობრივი, გამოცდილი მუშახელი, სოფლის მეურნეობის მოწინავე, რომელიც წინ სწევდა სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით დიდი მუშაობა მართებთ სპეციალისტებს— აგრონომებს, მექანიზატორებს, ზოოტექნიკოსებს.

აგრონომი სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანია, მეცნიერებით შეიარაღებული, დაუღალავი მუშაკი, მხურვალე პატრიოტი, მოსავლიანობის გადიდებისათვის შეუპოვარი მებრძოლი. მას აფასებენ და იგი უყვართ. მის სიტყვას და საქმეს კოლმეურნეები ენდობიან. ამიტომ თითოეულ საბჭოთა აგრონომს მოეთხოვება იდგეს თავისი მოწოდების სიმაღლეზე, ნამდვილად იყოს მცოდნე თავისი საპატიო საქმისა, გაუმჯობესებული აგრონომიული მეთოდების დანერგვის ინიციატორი, სარეკორდო მოსავლის მიღების ორგანიზატორი.

საბჭოთა საქართველოს რაიონებში მრავალი მოწინავე, წარჩინებული აგრონომი მუშაობს. ასეთები არიან, მაგალითად, სიღნაღის, ახალციხის, მახარაძის და სხვა რაიმოწგანების მთავარი აგრონომები გიორგი აბრამიშვილი, პეტრე მინდიაშვილი, მიხეილ ჭანუყვაძე. მოწინავე სპეციალისტია წითელწყაროს რაიმოწგანის მთავარი ზოოტექნიკოსი შალვა შარაშიძე. კიდევ ბევრი წარჩინებული აგრონომები, მექანიზატორები და ზოოტექნიკოსები შეიძლება დავასახელოთ, რომლებიც ანვითარებენ სოფლის მეურნეობას, ადიდებენ მოსავლიანობას და პროდუქტიულობას. ისინი მოწინავე აგროტექნიკის არა მარტო პოპულარიზატორები და გამტარებლები არიან, არამედ წინ უბიძგებენ ბრიგადირებისა და მერგოლურების დაუცხრომელ მისწრაფებას — გაუმჯობესება შეიტანონ სოფლის მეურნეობაში, რათა უხვი მოსავალი მიიღონ.

ასეთი კეთილშობილური, პატრიოტული მისწრაფებისათვის სოციალისტურ სამშობლოში არსებობს ყველა პირობა, არის ყოველგვარი საფუძველი.

ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ყველა პირობა შეუქმნეს ნიჭისა და უნარის ფართოდ გაფურჩქვნისათვის. საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერთა გვერდით წელს სტალინური პრემიები მიენიჭათ ანა იუტკინას, ნოვოსიბირსკის ოლქის მარიინსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პერეკოპის“ მერგოლურს, ულიანა მაკინას, მატრონა სერდიუკოვას, ანა ივლევას, დარია შარკინას, ლუკერია ბოლონდინას, თეკლე რომანოვას, ალექსანდრა პოვალიაევას, თედორა გავრილენკოს, მათე პოოდაევს—ამავე რგოლის წევრებს. რა გააკეთეს მათ? დანერგეს გაუმჯობესებული აგრონომიული მეთოდები და 1942 წელს კარტოფილის სარეკორდო მოსავალი მიიღეს — ჰექტარზე 1.330 ცენტნერი! აი რა შეუძლია საქმის სიყვარულს, მეცადინეობას, დაუცხრომელ ზრუნვას — გამოიყენო მეცნიერების მიღწევები მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ახლა განსაკუთრებით დიდია მეცნიერების როლი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებამ მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში მეცნიერული პრინციპები უნდა გაატაროს აგრონომების საშუალებით. ამას უნდა ცდილობდნენ აგრონომები თავის მხრივაც.

აგრონომი სოფლად დიდი ძალაა. „აგრონომი უნდა იყოს არა ზედამხედველი, ინსპექციის გამწევი პირი რაიონში,—წერს ამხ. მ. ი. კალინინი, — არამედ სასოფლო-სამეურნეო საშუალთა უშუალო ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, როგორც ინჟინერი ქარხნის საამქროში“.

ასეთია აგრონომების — სოფლის მეურნეობის ინჟინერების საბრძოლო ამოცანები მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. ამ საქმეში მათ ყოველმხრივ დაეხმარებიან და ხელს შეუწყობენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები.

საბჭოთა აგრონომებმა, მექანიზატორებმა, ზოოტექნიკოსებმა წარმატებით უნდა შეასრულონ მათ წინაშე მდგომი საბრძოლო ამოცანები, ორგანიზაცია უყონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს მოწინავე აგროტექნიკის დაცვით, დაუფლავად იბრძოლონ მეცნიერული პრინციპების გატარებისათვის პრაქტიკაში, მიაღწიონ მინდობილ უბანზე მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას. ეს იქნება მათი დახმარება ფრონტისადმი, წითელი არმიისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირის მარშლის დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით გმირულ ბრძოლას ეწევა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის.

სტალინური პრემიის ლაურეატთა შენაგანი

ამხანაგ სტალინის სახელზე კვლავ მოდის სტალინური პრემიების ლაურეატთა წერილები, თავიანთი მუშაობის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულნი, ისინი მიმართავენ ამხანაგ სტალინს მადლობის სიტყვებით, თავიანთ პრემიებს გადასცემენ საშურვლისათვის და პირობას იძლევიან კიდევ უფრო დაძაბულად იმუშაონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მწერალმა ალექსი ტოლსტოიმ თავისი რომანისათვის „მიმოსვლა ადგილთა სატანჯველისათა“ მიღებული პრემია ტანკ „გროზნის“ ასაგებად გადასცა.

მთავარი სარდლობის ფონდში თავიანთი პრემიები შეაქვთ ლაურეატებს ს. კრეტოვს, ვ. კრასელშჩიკს, ბ. როსის, ვ. ნილოვსკის, ნ. იარემენკოს.

ფერადი ლითონრების სახალხო კომისარიატის № 7 ქარხნის ინჟინერებს ბ. ა. ბოროკს და ვ. კ. გავრილოვას თავიანთი პრემიები შეაქვთ სტალინური პრემიების ლაურეატთა სახელობის თვითმფრინავების ესკადრილიათა ასაგებად.

ამხანაგი სტალინი თავის პასუხში მადლობას უთვლის ლაურეატებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებზე მათი ზრუნვისათვის. (საკდესი).

საბჭოთა მოძრავი კინოები გერმანელთა ზურგში

მოსკოვი არმია, 30 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დაძაბული ყურადღებით ადევნებენ თვალს მნიშვნელობა იკრავს, რომელზეც ვითარდება ფილმ „რიაზანის მდივნის“ მოქმედება. „მაყურებელთა დარბაზის“ მოწყობილობა ძალიან ჰგავს იმას, რასაც ეკრანზე აჩვენებენ. სურათს უჩვენებენ პარტიზანული ბანაკის ერთ-ერთ მიწურში.

ბელორუსი პარტიზანები რომლებიც შორს არიან „დიდი მიწიდან“, როგორც აქ არის მიღებული უწოდონ საბჭოთა სამშობლოს, მოწყვეტილი როდი არიან თავიანთი ქვეყნის ცხოვრებას. ისინი არა მარტო იმჩენენ რადიოგადაცემებს და კითხულობენ თვითმფრინავებით აქ მოტანილ გაზეთებსა და ლიტერატურას ბელორუსულ და რუსულ ენებზე, არამედ კინოფილმებსაც რეგულარულად ხედავენ.

კინოდანადგარის მოსვლა რაც მნიშვნელოვან რისკთან არის დაკავშირებული მექანიკოსისა და მისი თანამგზავრისათვის, აქ დიდ დღესასწაულს წარმოადგენს. ბელორუსიის ოკუპირებული რაიონების მთელი რიგი სოფლებისა და დაბების პარტიზანებსა და მოსახლეობას წელს უჩვენეს ფილმები: „ჩაპაევი“ „ლენინი 1918 წელს“, „მაქსიმეს პაბუკობა“, „მაქსიმეს დაბრუნება“, „გერმანელთა განადგურება მოსკოვთან“, „რიაზანის მდივანი“ და „სოიუზკინოქრონიკის“ კინოჟურნალების 10-მდე გამოშვება.

ჰიტლერელი ჯალათები

მოსკოვი არმია, 25 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელთა ჯარები, რომლებიც წითელი არმიის დარტყმების შედეგად უკან იხევენ დასავლეთის ფრონტზე, თავიანთ გზაზე აწყვეტენ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, ელეტენ ან ტყედ მიჰყავთ მშვიდობიანი მცხოვრებნი. სანინელი ბოროტაჩევიდან ჩაიდინეს გერმანელებმა სმოლენსკის ოლქის სოფელ ორდინეფოში.

ოფიცრის ბრძანებით, დღის 5 საათისათვის სოფლის ცენტრთან მორეკეს ახლომახლო სოფლების მთელი მოსახლეობა. როცა მეცხოვრენი შეგროვდნენ, გერმანელმა მეავტომატეებმა მათ სროლა აუტეხეს. გაისმა გულშემზარავი ყვირილი და კვნესა. ბანდიტების ხელით 26 კაცი დაიღუპა. დანარჩენი მეცხოვრენი გერმანელებმა გლეხთა ოთხ ეზოში შერეკეს.

მეორე დღეს უმწეო ადამიანები ჯგუფებად გამოჰყავდათ ეზოში და ხვრეტდნენ. ცოცხლებს აიძულებდნენ აეკრიფათ გვამები და წაეღოთ მეზობელ სახლში, შემდეგ კი მთლიანად ჰკლავდნენ. ასე დაიღუპა 118 საბჭოთა მოქალაქე. მოკლულთა გვამები გერმანელებმა დასწვეს.

ოთხ გამოკეტილ სახლში დარჩნენ ტყვე ქალები და ბავშვები. ჯალათები მათს გაუღეტასაც აპირებდნენ. მათ უკვე წაუკიდეს ცეცხლი მარიამ კუზნეცოვას სახლს, რომელშიც 150-მდე კაცი იყო ჩაკეტილი. წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებმაც ამ დროს მოუსწრეს, დაღუპვას გადაარჩინეს ისინი.

სოფელ სეერკუშინოში ჰიტლერელებმა გაუპატიურების შემდეგ დახვრიტეს 17-18 წლის ქალიშვილები—ანა დიმიტრიევა, თამარ ეფიმოვა და ნინო მურავიოვა, ხოლო მათ გვამებს ნავთი გადასასხეს და დასწვეს. გერმანელები უკანდახევისას მონებად მიერეკებიან მამაკაცებს, ქალებსა და მოზარდებს. მარტო ერთ სოფელ ნოვო-დუგინოში ჩვენმა ნაწილებმა გაათავისუფლეს 1.000-ზე მეტი საბჭოთა ადამიანი, რომლებიც აქ სხვადასხვა სოფლიდან იყვნენ მორეკილნი გერმანიაში გასაგზავნად.

მ. იაროვოი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 მარტის ღამის ბრძოლა

29 მარტის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები მიღწეულ ზღუდეებზე მაგრდებოდნენ და დაზვერვას ეწეოდნენ. 6 ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარია და ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიამფრქვევი, 18 ავტომატი, რამდენიმე ათეული შაშხანა და საომარი მასალათა საწყობი. გერმანელთა 17 ბომბდამშენმა 3 ავიაგამანადგურებლის თანხლებით სცადა ჩვენი ჯარების განლაგების დაბომბვა. იმ ნაწილის მეზენიტეებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. შუმიხინი, სროლა ასტეხეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. გერმანელთა დანარჩენმა თვითმფრინავებმა უწესრიგოდ ჩამოაყარეს რამდენიმე ბომბი და მალე მიიმალნენ.

* * *

ქალ. ბელის სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილები, რომელნიც მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას სძლევდნენ, წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში გაჟლეტილია 300-მდე ჰიტლერელი. მოწინააღმდეგეს წაგართვეს 2 ქვემეხი, ნაღმსატყორცნი ბატარია და საომარ მასალათა საწყობი.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში გერმანელმა მეავტომატეებმა სცადეს იერიში მოეტანათ 6 ნაწილის პოზიციებზე. ჩვენმა მებრძოლებმა უკუაგდეს ჰიტლერელები თავდაპირველ პოზიციებზე და სერიოზული ზარალი მიაყენეს მათ. სხვა უბანზე არტლერიის ცეცხლით გაფანტულია მტრის დიდი თავმოყრილი ქვეითი ჯარი, ჩახშობილია მოწინააღმდეგის 2 სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი და მოსპობილია თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ყუბანში მოწინააღმდეგის ერთმა ასეულმა ქვეითმა ჯარმა 7 ტანკისა და 3 ჯავშნიანი მანქანის დახმარებით სცადა მოეხდინა ჩვენი თავდაცვის დაზვერვა. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლით გაჰფანტეს მოწინააღმდეგე და დაუბრუნეს გერმანელთა 4 ტანკი. ჩვენმა

30 მარტის საღამოს ცნობა

30 მარტის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა შავ ზღვაში ჩასძირეს მტრის ტრანსპორტი 2.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

29 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 10-მდე ტანკი, 100-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაანგრიეს მტრის საველე და საზენიტო არტილერიის 7 ბატარეის ცეცხლი. ბარენცის ზღვაში ჩვენმა ავიაციამ ჩასძირა მტრის 3 ტრანსპორტი 6.000 ტონა საერთო წყალწყვისა.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში ერთ უბანზე დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა მტერთან. გერმანელები სძლევდნენ, წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში გაჟლეტილია 300-მდე ჰიტლერელი. მოწინააღმდეგეს წაგართვეს 2 ქვემეხი, ნაღმსატყორცნი ბატარია და საომარ მასალათა საწყობი.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში გერმანელმა მეავტომატეებმა სცადეს იერიში მოეტანათ 6 ნაწილის პოზიციებზე. ჩვენმა მებრძოლებმა უკუაგდეს ჰიტლერელები თავდაპირველ პოზიციებზე და სერიოზული ზარალი მიაყენეს მათ. სხვა უბანზე არტლერიის ცეცხლით გაფანტულია მტრის დიდი თავმოყრილი ქვეითი ჯარი, ჩახშობილია მოწინააღმდეგის 2 სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი და მოსპობილია თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ყუბანში მოწინააღმდეგის ერთმა ასეულმა ქვეითმა ჯარმა 7 ტანკისა და 3 ჯავშნიანი მანქანის დახმარებით სცადა მოეხდინა ჩვენი თავდაცვის დაზვერვა. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლით გაჰფანტეს მოწინააღმდეგე და დაუბრუნეს გერმანელთა 4 ტანკი. ჩვენმა

30 მარტის საღამოს ცნობა

30 მარტის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა შავ ზღვაში ჩასძირეს მტრის ტრანსპორტი 2.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

29 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 10-მდე ტანკი, 100-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაანგრიეს მტრის საველე და საზენიტო არტილერიის 7 ბატარეის ცეცხლი. ბარენცის ზღვაში ჩვენმა ავიაციამ ჩასძირა მტრის 3 ტრანსპორტი 6.000 ტონა საერთო წყალწყვისა.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში ერთ უბანზე დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა მტერთან. გერმანელები სძლევდნენ, წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში გაჟლეტილია 300-მდე ჰიტლერელი. მოწინააღმდეგეს წაგართვეს 2 ქვემეხი, ნაღმსატყორცნი ბატარია და საომარ მასალათა საწყობი.

* * *

სევერნი დონეცის შუაწელის რაიონში გერმანელმა მეავტომატეებმა სცადეს იერიში მოეტანათ 6 ნაწილის პოზიციებზე. ჩვენმა მებრძოლებმა უკუაგდეს ჰიტლერელები თავდაპირველ პოზიციებზე და სერიოზული ზარალი მიაყენეს მათ. სხვა უბანზე არტლერიის ცეცხლით გაფანტულია მტრის დიდი თავმოყრილი ქვეითი ჯარი, ჩახშობილია მოწინააღმდეგის 2 სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი და მოსპობილია თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ყუბანში მოწინააღმდეგის ერთმა ასეულმა ქვეითმა ჯარმა 7 ტანკისა და 3 ჯავშნიანი მანქანის დახმარებით სცადა მოეხდინა ჩვენი თავდაცვის დაზვერვა. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლით გაჰფანტეს მოწინააღმდეგე და დაუბრუნეს გერმანელთა 4 ტანკი. ჩვენმა

ჩვენ ... ოლქის ... ცნობა

29 მარტის ... ...

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია და სოციალისტური შეჯიბრება

თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. მგელაძე) შეამოწმა, თუ როგორ სრულდება საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. შემოწმების დროს გამოირკვა, რომ აღებულ ვალდებულებებს, ამხანაგები გადაჭარბებით ასრულებდნენ. მაგალითად, სტახანოველი ზეინკალი ა. ჭუმბურიძე 250 პროცენტის ნაცვლად გეგმას 350 პროცენტით ასრულებს, მედალანი ზეინკალი ა. ბახტაძე 200 პროცენტის ნაცვლად 300 პროცენტით ანალდებს, ლენინელმა მემანქანემ ამხ. შ. ჯოხრეიძემ აწევითი შეკეთებიდან აწევითი შეკეთებამდე, უავარიოდ და უწუნოდ 80.000 კილომეტრი გაიარა, საწვავი მასალის საგრძნობი ეკონომია გააკეთა.

შემოწმებამ ამასთანავე ისიც ცხადჰყო, რომ ზოგიერთი ამხანაგი აღებულ ვალდებულებას ვერ ასრულებდა. მაგალითად, ზეინკალს, საკ. კ. პ. (ბ) წევრს ამხ. გ. ქსოვრელს აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომ ნაცვლად 150 პროცენტისა დავალებას 200 პროცენტით შეასრულებდა. დამკვრელმა ზეინკალმა ბ. თადუმაძემ აიღო ვალდებულება, რომ გეგმას 150 პროცენტით გაანაღდებდა. მაგრამ აღნიშნული ამხანაგები სოციშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებდნენ. ასევე სახარატო საამქროს ხარატი ი. ხეჩუაშვილი კალდებულებას 200 პროცენტის ნაცვლად 150 პროცენტით ასრულებდა. ხარატი კრასილნიკოვი ზოგჯერ წუნდებულ პროდუქციას უშვებდა და გეგმის 90 პროცენტს თუ აღწევდა.

პარტიულმა ორგანიზაციამ მოიწვია იმ ამხანაგების თათბირი, რომლებიც აღებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებდნენ. მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით ამ თათბირს, დეპოს მოწინავე ამხანაგებიც ესწრებოდნენ.

თათბირზე გამოირკვა მუშაობაში ხელისშემშლელი მიზეზები. ამის შემდეგ პარტბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი. ხელისშემშლელი მიზეზების დეტალურად შესწავლის მიზნით ცალკეულ /საამქროებს პარტბიუროს წევრები მიამაგრეს. მუშაობის პროცესის საფუძვლიანი შესწავლით გამოირკვა, რომ სამუშაო ადგილი სწორად არ იყო მოწყობილი. დაზგები შეკეთებას მოითხოვდა, საჭირო დეტალების მიწოდება დროზე არ ხდებოდა. თვითონ მუშებს უხდებოდათ დეტალების მიტანა, რაც ხელს უშლიდა ნაკისრ ვალდებულებათა ზუსტად შესრულებას.

არსებული დეფექტების გამოსწორების მიზნით პარტიულმა ორგანიზაციამ ეს საკითხი ადმინისტრაციის წინაშე დასვა. სასწრაფოდ მიიღეს ზომები. ხელისშემშლელი მიზეზების დროულად აღმოფხვრით, პარტიული ორგანიზაციის დახმარებით ზემოაღნიშნული ამხანაგები საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას ახლა გადაჭარბებით ასრულებენ: ამხ. ქსოვრელი გეგმას 200 პროცენტის ნაცვლად 210 პროცენტით ასრულებს, ამხ. კრასილნიკოვი—110 პროცენტით, ხოლო ამხ. ხეჩუაშვილი—250 პროცენტით. სამრეცხაო საამქროს ზეინკალი, კომკავშირელი ნ. ყუროშვილი მონდომებით არ მუშაობდა, რის გამო გეგმას ვერ ასრულებდა და წუნდებულ პროდუქციას უშვებდა. იგი გადაიყვანეს მესამე საკომპლექტო ფრონტულ ბრიგადაში. ბრიგადირი, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ორდენოსანი ამხ. ხიზანაშვილი ამხ. ყუროშვილს გულისხმიერად ეპყრობა, მისთვის მიცემული დავალების შესრულებას სისტემატურად ამოწმებს, ყოველმხრივ ეხმარება მას ახალი დეტალების სწრაფად ათვისების საქმეში. ახლა ამხ. ყუროშვილი მოწინავეთა რიგებშია, გეგმას 200 პროცენტამდე ასრულებს და უწუნოდ მუშაობს.

საორთქლმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაცია ეხმარება ადმინისტრაციას დავალებათა დროულად შესრულებაში. ამის შედეგად დეპოს კოლექტივმა მიმდინარე წლის მარტის ორი დეკადის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

მაგრამ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. მაგალითად, ზოგიერთ საამქროში არ არის ზუსტი აღრიცხვა, რის გამო არ ხდება ყველა მოწინავეთა გამოვლინება. აწევითს საამქროში გრაფიკი იროღვევა, არ არის რიტმიული მუშაობა. თვის დასაწყისში საამქროო სრულ დატვირთვით არ მუშაობს, ხოლო თვის ბოლოს იერიშობანას მიმართავენ, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საკავშირო სოციშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა დროულად შესრულებაზე და პროდუქციის ხარისხზე.

ელ. ჩიტიშვილი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი

გუშინ, კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში შეიდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის V პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: რაიკომის ანგარიში და ორგანიზაციული საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ჰ. მჭედლიძემ

კამაოში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: ჭახრაკია, სილაძე, აფრიდონიძე, ზურელიდი, გელაშვილი, ფარულავა, ბულეიშვილი, შავიშვილი და ფუქსი.

პლენუმმა, რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად. პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად და დასახა ღონისძიებები შემდგომი მუშაობისათვის.

პლენუმმა რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან გაანთავისუფლა ამხ. ჰ. მჭედლიძე, მისი ნაცვლად მოიწვია ამ ამხანაგის თათბირი, რომლებიც აღებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებდნენ. მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით ამ თათბირს, დეპოს მოწინავე ამხანაგებიც ესწრებოდნენ.

თათბირზე გამოირკვა მუშაობაში ხელისშემშლელი მიზეზები. ამის შემდეგ პარტბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი. ხელისშემშლელი მიზეზების დეტალურად შესწავლის მიზნით ცალკეულ /საამქროებს პარტბიუროს წევრები მიამაგრეს. მუშაობის პროცესის საფუძვლიანი შესწავლით გამოირკვა, რომ სამუშაო ადგილი სწორად არ იყო მოწყობილი. დაზგები შეკეთებას მოითხოვდა, საჭირო დეტალების მიწოდება დროზე არ ხდებოდა. თვითონ მუშებს უხდებოდათ დეტალების მიტანა, რაც ხელს უშლიდა ნაკისრ ვალდებულებათა ზუსტად შესრულებას.

არსებული დეფექტების გამოსწორების მიზნით პარტიულმა ორგანიზაციამ ეს საკითხი ადმინისტრაციის წინაშე დასვა. სასწრაფოდ მიიღეს ზომები. ხელისშემშლელი მიზეზების დროულად აღმოფხვრით, პარტიული ორგანიზაციის დახმარებით ზემოაღნიშნული ამხანაგები საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას ახლა გადაჭარბებით ასრულებენ: ამხ. ქსოვრელი გეგმას 200 პროცენტის ნაცვლად 210 პროცენტით ასრულებს, ამხ. კრასილნიკოვი—110 პროცენტით, ხოლო ამხ. ხეჩუაშვილი—250 პროცენტით. სამრეცხაო საამქროს ზეინკალი, კომკავშირელი ნ. ყუროშვილი მონდომებით არ მუშაობდა, რის გამო გეგმას ვერ ასრულებდა და წუნდებულ პროდუქციას უშვებდა. იგი გადაიყვანეს მესამე საკომპლექსო ფრონტულ ბრიგადაში. ბრიგადირი, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ორდენოსანი ამხ. ხიზანაშვილი ამხ. ყუროშვილს გულისხმიერად ეპყრობა, მისთვის მიცემული დავალების შესრულებას სისტემატურად ამოწმებს, ყოველმხრივ ეხმარება მას ახალი დეტალების სწრაფად ათვისების საქმეში. ახლა ამხ. ყუროშვილი მოწინავეთა რიგებშია, გეგმას 200 პროცენტამდე ასრულებს და უწუნოდ მუშაობს.

საორთქლმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაცია ეხმარება ადმინისტრაციას დავალებათა დროულად შესრულებაში. ამის შედეგად დეპოს კოლექტივმა მიმდინარე წლის მარტის ორი დეკადის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

მაგრამ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. მაგალითად, ზოგიერთ საამქროში არ არის ზუსტი აღრიცხვა, რის გამო არ ხდება ყველა მოწინავეთა გამოვლინება. აწევითს საამქროში გრაფიკი იროღვევა, არ არის რიტმიული მუშაობა. თვის დასაწყისში საამქროო სრულ დატვირთვით არ მუშაობს, ხოლო თვის ბოლოს იერიშობანას მიმართავენ, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საკავშირო სოციშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა დროულად შესრულებაზე და პროდუქციის ხარისხზე.

ელ. ჩიტიშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომის პლენუმი

ონი („კომუნისტის“ საკ. კორ.). შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: რაიონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მომზადებისა შესახებ, კომკავშირის ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და პარტიაში მიღების მდგომარეობის შესახებ.

პირველი საკითხის გამო პლენუმზე მოხსენება გააკეთა ონის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. რეხვიაშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა. აღნიშნეს, რომ რაიონში კოლმეურნეობების უმრავლესობა თესვისათვის მზადებას წელს განსაკუთრებული ენერგიით შეუდგა, მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობა ამ საქმეში, ჩამორჩა. სოფ. გლოლის, ჭიორის და ღების კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ სრულად არა აქვთ სათესლე. ზოგიერთ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მანქანები დღემდე არ არის შეკეთებული.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომის მდივანი ამხ. გორგიაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ სოფელ სორის და ჰაპინეთის საშუალო სკოლების პარტიული ორგანიზაციები კარგად ხელმძღვანელობენ კომკავშირის ორგანიზაციებს, ხოლო ხეითისა და ცხომორის პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ კომკავშირს.

პარტიაში მიღების შესახებ პლენუმმა მორისმინა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გაგზავნილ ამხ. დათეშიძის მოხსენება. სამივე საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებები.

მ. ბერიშვილი

უზრუნველვყოთ ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების შეუფერხებელი მუშაობა

ჩვენი პრეწველობის საწარმოებში ფრონტისათვის მეტი პროდუქციის, მეტი საომარი მასალის და საჭურვლის გამოშვება უმთავრესად დამოკიდებულია საწარმოების ელექტროენერგიით შეუფერებელ მომარაგებაზე.

ელექტროსადგურების, ელექტროქსელების და ეხეოგოსისტემის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წინაშე სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატმა დააყენა უმნიშვნელოვანესი ამოცანები: მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ელექტროენერგიის გამომუშავების სახელმწიფო დავალება, მომჭირნეობით ხარჯონ სათბობი და ელექტროენერგია ადგილობრივი მოხმარებისათვის, მტკიცედ დაიცვან ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ელექტროსადგურებისა და ქსელების უავარიო, რიტმიულ მუშაობას, აგრეგატებისა და გადამცემი ხაზების კაპიტალური რემონტის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარებას, შეჰქმნან მუდმივი საექსპლოატაციო და რემონტის მომზადებული კადრები.

როგორ ასრულეს ჩვენი სისტემა ამ ამოცანებს? საქენერგოს ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების გასული თვეების მუშაობის მაჩვენებლები მოწმობენ, რომ საქართველოს ენერგეტიკოსებმა თავიანთ მუშაობაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუშაობა ლ. პ. ბერიას სახელობის ტყვარჩელის თბოელექტროსადგურისა, რომელმაც იანვრის მაჩვენებლებით მიიღო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ამავე კოლექტივმა თებერვლის მაჩვენებლებით საკავშირო სოციშეჯიბრებაში მესამე ადგილი მოიპოვა.

საქენერგოს ჰიდროელექტროსადგურებს შორის საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელექტროსადგურმა. ამ სადგურის კოლექტივი, რომელიც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში არა ერთხელ გამოსულა გამარჯვებული, ერთ წელზე მეტია უავარიოდ მუშაობს და ყოველთვიურ საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს.

უკანასნელ თვეებში კარგი მაჩვენებლები მოიპოვა სტალინის სახელობის რაიონის ჰიდროელექტროსადგურმა. სადგურის კოლექტივმა მთლიანად დაამთავრა კაპიტალური რემონტი და გადაჭარბებით შეასრულა თებერვლის საწარმოო მაჩვენებლები ყველა დარგში.

ელექტროქსელებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუშაობა საქენერგოს პირველი სარაიონო ქსელისა, რომელიც დიდი ხანია უავარიოდ მუშაობს და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს რემონტის და რევიზიების გეგმას.

სუსტად მუშაობს საქენერგოს მეორე სარაიონო ქსელი (დირექტორი ამხ. კანკავა, მთავარი ინჟ. გიგინეიშვილი), სადაც ადგილი აქვს ავარიებსა და წუნს მუშაობაში. არასაკმაოდ სწარმოებს ყოველდღიური ბრძოლა მტკიცე საწარმოო დისციპლინის დანერგვისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების გატარებისათვის.

მეორე სარაიონო ქსელის ხელმძღვანელებმა ბოლშევიკურად უნდა გამოასწორონ მათს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და მტკიცედ დაიცვან ტექნიკური ექსპლოატაციის წესები.

ელექტროსადგურებსა და ელექტროქსელებში დიდი მუშაობაა ჩატარებული. მოწყობილობის რემონტისა და რევიზიების ხაზით საქენერგოს ჰიდროელექტროსადგურებში კაპიტალური რემონტის ყველა სამუშაო დაწესებულ ვადებშია დამთავრებული, აგრეგატები მთლიანად მზად არის წყალდიდობის პერიოდისათვის. სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია მხოლოდ საკუთარი ძალებით.

საქენერგოს ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების შეუფერხებელი მოქმედების უზრუნველსაყოფად ჩვენ დიდ მუშაობას ვეწევით მუშაკთა არსებული პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ახალი კადრების მოსამზადებლად. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სისტემის საწარმოებში მომზადებულმა ახალმა კადრებმა უკვე აითვისეს ტექნიკა. ისინი ახლა უავარიოდ მუშაობენ.

სამშობლოს, ფრონტის ინტერესები მოითხოვენ ჩვენი სისტემის მთელი კოლექტივისაგან უკეთეს, უწუნო და უავარიო მუშაობას, მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოების ელექტროენერგიით შეუფერხებელ მომარაგებას.

ამისათვის საჭიროა: მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოთ ელექტროენერგიის გამომუშავების სახელმწიფო გეგმები, მტკიცედ დავიცვათ ელექტროენერგიის ხარისხი (სიხშირე და ძაბვა); მივაღწიოთ მთელი სისტემის ეკონომიურ მუშაობას და ენერგეტიკული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას; უზრუნველვყოთ ელექტროსადგურებსა და ქსელებში სათადარიგო ნაწილების დროზე და სრულად მომარაგება, რათა დაწესებულ ვადებში, მაღალხარისხოვნად ჩატარდეს ყველა გეგმიანი შეკეთება; უსასტიკესად დავიცვათ ტექნიკური ექსპლოატაციის წესები; დავზოგოთ მეტი სათბობი და შევამციროთ ელექტროენერგიის ხარჯი საკუთარ მოხმარებაზე; სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის დარგში ეკონომიის მისაღწევად ურყევად გავატაროთ გეგმით გათვალისწინებული ყველა ტექნიკური ღონისძიება.

ყველა ამ ძირითადი ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ჩვენი სისტემის ელექტროსადგურებსა და ქსელებში ფართოდ გავშალოთ წინასამაბისო სოციშეჯიბრება, უფრო ფართოდ დანერგოთ სტახანოვური მუშაობის მეთოდები.

საბჭოთა საქართველოს ენერგეტიკოსები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს მოახმარენ გმირი წითელი არმიისადმი მზარდ დახმარებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად.

ვ. დევიძე
საქენერგოს ემართველი.

სამარშო გადასვლების შედეგები საქართველოში

საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეაჯამა წითელი არმიის XXV წლისთავისადმი მიძღვნილი პროფკავშირულ-კომკავშირული ტრადიციული სამარშო ქვეითი გადასვლების შედეგები. მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ქვეითს გადასვლაში მონაწილეობა მიიღო 267.800 კაცმა და ქალმა. აქედან 258.350 მონაწილემ ჩაბარა „ძმთ“-ს ნორმები. ქალაქთა შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვს თბილისის კომკავშირულ-ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. აქ ქვეითს გადასვლებში მონაწილეობა მიიღო 53.834 კაცმა, აქედან 48.363 კაცმა ჩაბარა ნორმები.

ოქტებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვს აფხაზეთს. გადასვლის 29.179 მონაწილედან 28.298-მ ჩაბარა ნორმები.

ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებათა შორის მოწინავე აღმოჩნდა „ლოკომოტივ იუგა“, ქვეითი გადასვლაში მონაწილეობა მიიღო 27.412 კაცმა და 24.276 ჩაბარა ნორმები. გამარჯვებულნი ქვეითი გადასვლების რეპუბლიკურმა კომიტეტმა დაჯილდოვა ვიმპელებით და სიგელებით.

პრესის მიმოხილვა

საფუძვლიანად გავაშუქოთ პარტიული ცხოვრება

გაზ. „მეგენახე“—საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაისაბჭოს ორგანო და გაზ. „ბრძოლის დროშა“ საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების ჩოხატაურის რაისაბჭოს ორგანო

რაიონული გაზეთები „მეგენახე“ (გურჯაანი) და „ბრძოლის დროშა“ (ჩოხატაური) ხშირად ათავსებენ წერილებს პარტიული ცხოვრების საკითხებზე. ისინი ცდილობენ პარტიული ცხოვრების ყველა მხარე ასახონ თავიანთი გაზეთის ფურცლებზე. ეს რა თქმა უნდა კარგია. მაგრამ აღნიშნული გაზეთები ყოველთვის ვერ ახერხებენ საფუძვლიანად გაშუქონ პარტიული ცხოვრების ესა თუ ის საკითხი. წერილების დიდი უმრავლესობა უბრალოდ აღწერს ფაქტებს, ჩამოთვლის ადამიანებს, და არ განმარტავს იმას, თუ როგორ იქნა მიღწეული წარმატება, ან რატომ არის ჩამორჩენა პარტიული მუშაობის ამა თუ იმ უბანზე. წერილები არ იძლევიან მოწინავეთა გამოცდილების ისეთ ჩვენებას, რომელსაც სხვებისათვის აღმზრდელობითი და წასაბაძი მაგალითის მნიშვნელობა ექნება.

გაზეთი „მეგენახე“, პარტიული მუშაობის სხვა საკითხებთან შედარებით, ფართოდ აშუქებს აგიტაციის საკითხებს. ხშირად პარტიული ცხოვრება წარმოდგენილია მასალით, რომელიც აგიტაციის მდგომარეობას შეეხება, ხოლო სხვა საკითხები შედარებით მკრთალადაა ასახული. აგიტატორების მუშაობის დადებითი გამოცდილების მკაფიოდ ჩვენება, მათი საქმიანობის ნაკლოვანებათა საფუძვლიანი კრიტიკა და მათდამი კონკრეტული რჩევა-დარიგება გაზეთში მოისურვებს.

„მეგენახეში“ ხშირად იბეჭდება რაიონში საგაზეთო მუშაობის შესახებ გურჯაანის პარტრაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის ამხ. ალ. ზარნაძის სტატიები. მათში ნაკლებად არის აგიტატორებისადმი მეთოდური რჩევა-დარიგება. „მეგენახის“ № 43 ნომერში (1942 წ. 3 სექტემბერი) ამხ. ზარნაძე ჩამოთვლის აგიტატორებს, რომელნიც სუსტად მუშაობენ და ასეთ მითითებას იძლევა: „ადგილობრივმა პირველადმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი სიმკაცრით უნდა დასაჯონ ასეთი უქნარები...“ გაზეთის 1943 წ. 4 თებერვლის ნომერში, იგივე ავტორი, ეხება რა რაიონის ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკების დაუსწრებლობას ლექციებზე, აკეთებს არასწორ დასკვნებს: „ზემოხსენებულ ამხანაგებს ვერ შეუგნიათ, იხილნი ვერ გრძნობენ, რომ თანდათან ჩლუნგდებიან და პოლიტიკურად ბეცები ხდებიან“. ასეთი ტონით გაზეთმა არ უნდა სწეროს. არა უხეირო ძაგებმა, არა ადმინისტრირება, არამედ გარკვეული რჩევა და დარიგება უნდა მისცეს გაზეთმა აგიტატორებს, არა მხოლოდ მიუთითოს ნაკლზე, არამედ უჩვენოს მისი გამოსწორების გზები და საშუალებები.

გაზ „ბრძოლის დროშა“ თავის ფურცლებზე პარტიული ცხოვრების თითქმის ყველა საკითხებს ეხება, მაგრამ წერილების უმრავლესობა სუსტია და ვერ გვაძლევს დაყენებული საკითხების საფუძვლიან გაშუქებას. სჩანს, რედაქცია არასაკმაოდ სერიოზულად უდგება წერილების მომზადებისა და ნაათარედაქციო დამუშავების საქმეს. ამით აიხსნება, რომ ზოგჯერ გაზეთში გვხვდება წერილები, რომელთა სათაურები არ უპასუხებენ თავის შინაარსს. მაგალითად, გაზეთის 1942 წლის 11 იანვრის № 2-ში მოთავსებულია წერილი სათაურით „უზრუნველვყოთ პარტიულ დავალებათა შესრულების შემოწმება“. მასში ლაპარაკია თავდაცვის ფონდში საჩუქრების შეგროვებაზე, პარტიაში მიღებაზე, საგაზეთო მუშაობაზე, პარტიული კრებების შესახებ და სხვ. ხოლო პარტიულ დავალების შესრულების შესახებ წერილი არსებითად არაფერია ნათქვამი. ასეთივეა 1942 წ. 4 ოქტომბერს გაზეთში მოთავსებული წერილი სათაურით „პერიოდულად შეგამოწმოთ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა“.

„ბრძოლის დროშა“ არასაკმაო ყურადღებას უთმობს მასალების ლიტერატურულ დამუშავებას, აზრის მკაფიოდ გამოთქმას და ამის გამო წერილებში მოიბოვება ზოგიერთი ბუნდოვანი, უშნაარსო და მცდარი გამოთქმები. მაგალითად, 1942 წ. 15 თებერვლის, 14 ივნისის, 20 სექტემბრის, 1 ნოემბრის მოწინავე და სხვა წერილებში.

საგაზეთო-მასობრივი მუშაობის საკითხებზე „ბრძოლის დროშა“ პერიოდულად ბეჭდავს მოწინავეებს. ეს დადებითი მოვლენაა, მაგრამ, როგორც სჩანს, რედაქტორი ვერ ითვალისწინებს, რომ მოწინავე წერილებს განსაკუთრებით სერიოზული დამუშავება ესაჭიროება.

1 ნოემბრის მოწინავეში სათაურით „ყოველდღიური ხელმძღვანელობა აგიტატორებს“ გაუგებარია, რის თქმა სურს ავტორს. რადესაც სწერს შემდეგს:

„სამამულო ომის დროს საგაზეთო მუშაობის გამოცდილებანი გვასწავლის, რომ აგიტატორთა სისტემატური მუშაობა თვითთავზე, საგაზეთო საუბრის კონკრეტულობა და მიმზიდველობა აგრეთვე აგიტაციის მაორგანიზებელი(!) ძალის გაძლიერებისათვის ხალხური პრაქტიკის(!) გამოყენება საუკეთესო საშუალებაა პრაქტიკულ პროპაგანდაში“.

რედაქციის ეოთგვარი დაუდევრობით უნდა იხსნას ავტორვე, რომ ზოგიერთი წერილი სწორად არ არის დასათაურებული. ა. წ. 14 თებერვლის ნომერში მოთავსებულია წერილი სათაურით „მიმდინარე პოლიტიკის წრე“, უნდა ეწეროს „მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე“.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთ „მეგენახეში“ სჭარბობს წერილები სოფელ შილიანიდან, მაშინ როცა ზოგიერთი სხვა სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება გაზეთში არ გაშუქებულა.

პარტიული კრება, პარტიაში მიღება, პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა, პარტიული მეურნეობა, პარტორგანიზაციების ბრძოლა უხეი სამხედრო მოსავლისათვის, პარტიული ორგანიზაცია და სოციალისტური შეჯიბრება, ერთიანი კომუნისტებთან მუშაობა, პარტიულ დავალებათა შესრულება, პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი და კომკავშირული ცხოვრების საკითხები ამ გაზეთებში არასაკმაოდ შუქდება.

პარტიული ცხოვრების საკითხების სისტემატური, ყოველმხრივი და საფუძვლიანი გაშუქება გაზეთების „მეგენახისა“ და „ბრძოლის დროშის“ რედაქციებისაგან მოითხოვს წერილების გულდასმით მომზადებას, სერიოზულ ლიტერატურულ და სარედაქციო დამუშავებას. საქმის ამ მხარეს მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ და ამით მიაღწიონ მთლიანად გაზეთის ხარისხის გაუმჯობესებას.

ლეპეზეგი

ფრანგი მუშები გერმანიაში იძულებით გაგზავნას ეწინააღმდეგებიან

ლონდონი, 28 მარტი (საკდესი). ლონდონს ჩასულმა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა ალბერ გიგემ პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ საფრანგეთში პროფკავშირები არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მიუხედავად ამისა, პროფკავშირული ორგანიზაციები მთელ საფრანგეთში ირსებობენ და ორგანიზებულ მილიონ მუშა-მოსამსახურეს აერთიანებენ.

ფრანგი მუშების გერმანიაში იძულებით გაგზავნამ მასობრივი გაფიცვები გამოიწვია, რომლებიც 1942 წლის ოქტომბერს დაიწყო საფრანგეთის მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებში. ამ გაფიცვების შედეგად ზოგიერთ ქალაქში ორი-სამი თვით შეფერხდა გერმანიაში მუშების გაგზავნა. ლავალის გამცემლური პოლიტიკისადმი ფრანგი მუშების ორგანიზებული წინააღმდეგობა გრძელდება.

ომი ჰაერში

ლონდონი, 29 მარტი (საკდესი). რეიტერის საგაზეთოს ცნობით, 28 მარტს ღამის ინგლისის ბომბდამშენებმა დიდი კონცენტრაციებით თავდასხმა მოახდინეს გერმანიის წყალქვეშა ნავების ბაზაზე სენ-ნაზერში.

გერმანიაში მყოფი ჩუვეების აჯანყება

ნიუ-იორკი, 29 მარტი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგაზეტო იუწყება, მიღებულია სარწმუნო ცნობები სამხედრო ტყვეებისა და გერმანიაში ძალით გაგზავნილ უცხოელ მუშათა აჯანყების შესახებ. ათასობით სამხედრო ტყვე და მუშა ბარბის საწარმოებიდან, სადაც მათ ძალით ამუშავებენ; ისინი ორგანიზებულ ჯგუფებს ჰქმნიან, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებენ მაშინ, როცა მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმის გერმანიის ქალაქებს.

პოლიციის რეგულარული ნაწილები ვერ უმკლავდებიან ამ რაზმებს. ჰიტლერელები იძულებული არიან სპეციალური მცველი რაზმები შეჰქმნან გზების დასაცავად.

თანდათან გახშირდა სამხედრო ტყვეთა მთელი ჯგუფების გაქცევა საკონცენტრაციო ბანაკებიდან. ამასთან ისინი ჩვეულებრივ ხოცავენ ბანაკის მცველ რაზმებს და თან მიაქვთ მათი იარაღი.

სულიერი განწყობილება უნგრეთში უნგრეთის ჯარების განადგურების შემდეგ

სტამბოლი, 29 მარტი (საკდესი). ცნობამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე უნგრეთის არმიის განადგურების შესახებ დიდი მღელვარება გამოიწვია უნგრეთში. როგორც გაზეთი „პესტერ ლოიდი“ სწერს, „აღმოსავლეთის ფრონტზე იანვარსა და თებერვალში მომხდარი ამბების შემდეგ“ სამხედრო ხელისუფლებს და წითელი ჯვრის ორგანიზაციებს მოსდით ფრონტელთა ოჯახების ათიათასობით წერილი, რომლებითაც ისინი მოითხოვენ აცრობონ, თუ რა ბედი ეწიათ ფრონტზე მყოფ მათს ნათესავებს. მაგრამ ეს მოთხოვნები უპასუხოდ დარჩა, რამაც კიდევ უფრო მეტი მღელვარება გამოიწვია მოსახლეობაში.

უნგრეთის მესვეურები იძულებული არიან აღიარონ უნგრეთის არმიის განადგურების ფაქტი. ამას წინათ პრემიერი კალაი რადიოში გამოვიდა და განაცხადა: „სასტიკ ბრძოლებში, რომელთა წარმრებაც უნგრეთის არმიას მოუხდა, ჩვენმა ჯარებმა დიდი ზარალი ნახეს“.

სამხედრო მინისტრი ნადი ერთ-ერთ თავის ინტერვიუში იძულებული იყო აგრეთვე ხაზგასმით აღენიშნა, რომ უნგრეთის არმიამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში უფრო მეტი ზარალი ნახა, ვიდრე მთელი ომის განმავლობაში.

ჰიგლერელთა საშინელი ბორროგმოქმედებანი როვნოში

სტოკჰოლმი, 30 მარტი (საკდესი). როგორც ჰიტლერული გაზეთი „დოიჩე ცი